№ 3. 1948 წ.
გამოცემის წელი XXV.
ფასი 2 მან.

# ნიანგი

თბილისი.
გამომცემლობა
„კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. დონისა

## ერთ ფარეხში

— რას მერჩოდნენ, რქაგრეხილავ, საკუთარი თავივით გიფრთხილდებოდით, მგელს არ გაკარებდით და მაინც მომხსნეს თავმჯდომარეობიდან.

— საკუთარი თავივით კი არა საკუთარი თავისთვის გვიფრთხილდებოდი, მაგრამ „მგელი შეგვჭამდა თუ მგლის ბიძაშვილი, ჩვენთვის სულ ერთი არ იყო!..

# „მზრუნველი ბიძიები“

ამერიკა და ინგლისი თანდათანობით ეპატრონებიან ირანის ნავთის სარეწაოებს.

ნახ. მ. ვადბოლსკისა




უცხოური კოვზები ირანულ ჭიქაში.

## ზემოუბნელი არსენა

ზემოუბანში პირველად შემოგრიალდა გაკრიალებული „მერსედესი“. სოფლის ბიჭები უკან მიჰყვნენ უცხო მანქანას, მანქანაში მსხდომნი ვერ იცნეს და როცა „მერსედესი“ ყაფლანაანთ ეზოში შეგუგუნდა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ მანქანა ყაფლანის უფროსი ვაჟის, არსენასი იყო.

მანქანიდან გაპრიალებულჩექმებიანი, ლოყებლაჟღაჟა არსენა გადმოვიდა, გალიბანდი გვერდზე ეხურა, სქელ კისერს ძლივსღა აბრუნებდა და მოზრდილი ღიპი სიარულს უშლიდა.

ბიჭები მანქანის დაცლაზე მიეშველნენ, მძიმე ჩემოდნები და სავსე ჩანთები გადმოტვირთეს და მერე ისევ მანქანას შემოეხვივნენ.

— ვაჰ, რა კარგი წამოსაწოლია!

— მაგრა ეწევა?

— ჩვენებურია?—ეკითხებოდნენ მანქანაში დიდკაცურად გაჭიმულ შოფერს. შოფერმა მხოლოდ ერთხელ მიიხედა ახალგაზრდებისკენ და ერთადერთი სიტყვა დაცდა:

— ტრაფეინია!

* * *

ყაფლანის ოჯახი განა მარტო შვილის ჩამოსვლის სიხარულით აივსო. მშობლებისა და ნათესავების მოყვარულმა შვილმა ყველაფერი ბლომად ჩამოიტანა, ფართლით და ფეხსაცმლით, შაქრით და საპნით მარტო მოხუცი დედ-მამა კი არა, ნათესავ-მეზობლებიც მოიმადლიერა.

— გაკეთებულა კაცი და ეგ არი!

— შვილით მაგისმა მშობლებმა დაიქადონ!—გაისმოდა მთელ სოფელში.

— პროფესორი თუ არი!

— არა, ექიმი იქნება, ან ინჟინერი!

მკითხაობდნენ უფრო შორეულები.

სადილად მთელი სოფელი მოიპატიჟა ყაფლანმა. ადგილობრივმა პატენტოვანმა თამადამ პირველი ჭიქიდანვე არსენასკენ მიმართა მთელი თავისი მჭევრმეტყველება. „მთელი კუთხისა და უფრო მეტიც, მთელი საქართველოს სიამაყე“, „სასახელო, სახელგანთქმული სახლიკაცი“ დინჯად იჯდა სუფრის თავში და მისი მისამართით ასე ხელგაშლილად გაბნეულ ქება-დიდებას თავაზიანი მადლობით ლებულობდა.

ღვინო რომ მოეკიდა, მხოლოდ მაშინ აუშვა ენა, მანამ სიტყვაძვირმა არსენამ. სტუმრებმა მაშინ გაიგეს პირველად რომ „საამაყო მეზობელი“ „პურის საქმეში ყოფილა“, რომ მას თბილისში ორი სახლი აუშენებია—ერთი ცოლისძმის, ხოლო მეორე ქვისლის სახელზე. და რომ ის „ტრაფეინი მაშინაც“, რომელმაც არსენა ამოდენა დოვლათით ამოაგელვა ორი დღის სავალზე, მისი საკუთრება ყოფილა, „თუმცა შოფრის სახელზე გაფორმებული“.

— სად იშოვე?

— რა დაგიჯდა?

დააყარეს კითხვები ღვინით გათამამებულმა ახალგაზრდებმა.

არსენამ ორი თითი ასწია ზემოთ და აგდებულად თქვა: ორი მანეთი მივეცი, ერთი მანეთიც გაფორმებაზე წავიდა, სულ სამი მანეთი დამეხარჯა.

სტუმრებმა ნათქვამი ხუმრობად ჩათვალეს და გაიცინეს, ახალგაზრდები კი არ ეშვებოდნენ:

— მართლა რა დაგიჯდა არსენ, მაინც რა მიეცი?

არსენამ წარბი შეიკრა და ისევ ორი თითის აწევით დაადასტურა თავისი ნათქვამი: ოცი ათასი მივეცი, ორი მანეთი რაღა!..

არსენას ანგარიშით გაოცებულმა სტუმრებმა ერთიმეორეს გადახედეს. ბევრი იქ მყოფის წლიურ შემოსავალს არსენა ორი თითის ჩვენებით გამოხატავდა, ათიათას მანეთს ერთ მანეთს ეძახდა და ასმანეთიანების დასტებს მარჯვნივ და მარცხნივ სჩრიდა ხელში ნათესავებს.

სამი დღე მოილხინა არსენამ მშობლიურ სოფელში. მესამე დღეს სალამოხანს აიხირა თბილისში გამობრუნება.

ბევრი ეხვეწნენ ღამე შინ დარჩენილიყო, მაგრამ მთვრალმა არ დაიშალა.

„ტრაფეინი მერსედესი“ უშველებელი ფარების ბდღვრიალით მობუგუნებდა ბნელ ხეობაში. „ხაზეინზე“ არანაკლებ მთვრალი შოფერი ჯერ არსენას საყვარელ ოროველას მღეროდა, მერე უფროსის ძილი მასაც გადაედო და...

არსენა მხოლოდ საავადმყოფოში მოეგო გონს. თოვლის კაცივით იდო ბინტში გახვეული ქათქათა ლოგინზე. თავით თვალცრემლიანი ცოლი ეჯდა, ფერგამკრთალი, შეწუხებული.

თანდათან რომ მოღონიერდა და ჭამის მადაც მოუვიდა, ცოლის მოტანილმა სადილმა გააოცა:

—ქალო, მეტი ვერაფერი იშოვე? ძლივს ჭამა მომინდა და...

ცოლმა არაფერი უპასუხა, თეთრი პური და ორი კვერცხი დაუდო წინ მადაზე მოსულ არსენას.

არსენამ სუფრა ხელით გასწია და ცოლს გამწყრალმა მიმართა:

— რაღა დღისთვის ინახავ იმ ფულს, ხუთი თუმანი ხომ გქონდა სახლში!

ცოლმა ახალი ასმანეთიანების ხუთი დასტა ამოიღო, ხუთი ათასი დათვალა და არსენას ხელით ანიშნა ხუთი თითის აწევით: ხუთის მეტი აღარ მაქვსო.

— ხუთასი ათასი ათ წელიწადს ყოფნის სხვას და ამ ავადმყოფობაში ვერ მაყოფინებ? რამ გაგიტეხა გული ქალო!—გულმობრუნებულმა გაულიმა ცოლს და სუფრისკენ გადმობრუნდა.

ცოლმა აცრემლებულ თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა. მაგიდაზე ორმოცდაათი, არსენასთვის ჯერ უცნობი ასმანეთიანი იდო.

* * *

ასე უღიმღამოდ იმოგზაურა მშობლიურ კუთხეში „მეზობლების სიამაყემ“. მისი „ტრაფეინი“ მაშინის დამტვრეული ნაწილები ახლაც ჰყრია ღრმა ხევში ზემოუბნის გზაზე. რეფორმამ თავფეხდაჩეჩქვილს მოუსწრო საავადმყოფოში, ცოლმა უმისოდ მეტი ვერაფერი იღონა—თუმანი მანეთზე გადაცვალა და ხუთასი ათასის ნაცვლად ხუთი ათასი მიიღო.

თავათ არსენა ფრთეებჩამოყრილი დადის. პური ყოველ ნაბიჯზე იყიდება თავისუფლად, როგორც თვითონ ამბობს „პურის საქმე წახდა“ და ამიტომ პურის მაღაზიაში მოწყობას აღარ ცდილობს. ლუდშიც აღარაფერი ხეირია, ხოლო სამრეწველო საქონლის მაღაზიას ჯერ ვერსაიდან მიუდგა.

ზემოური

# გაიძვერების ისტორია

„...შეერთ. შტატების სახ. დეპარტამენტმა, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებთან თანამშრომლობით გამოაქვეყნა ჰიტლერული დიპლომატიური მოხელეების მოხსენებებისა და დღიურების სხვადასხვა ჩანაწერების კრებული", რომელშიც იმპერიალისტი გაიძვერები ცდილობენ გააყალბონ ისტორია და ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირს.

„სასწაული" რამ მომხდარა
ბუნებაში ამასწინათ:
ჯოჯოხეთში ბელზებელმა
თურმე ერთი შეყროყინა
და ბნელეთით „ბიზონიას"
ინსტრუქტორი მიუვლინა!—
თან იმ ეშმაკ ინსტრუქტორსა
დავალება თურმე მისცა —
გულდადებით გასცნობოდა
„კაპიტალის კუთვნილ მიწას"
და გაეგო თუ ფაშიზმის
აღსადგენად, განსავრცობად,
უფრო მეტი თავდადებით
ომის შემდეგ ვინ იღვწოდა?
თაღლითის და გაიძვერის
ვის აქვს უფრო მეტი სტაჟი?
ვინ ცდილობს, რომ ხალხი ისევ
ამოახრჩოს სისხლის ზღვაში,
უფრო მეტი მოხერხებით
ვინ ღალატობს სინდის-მორალს,
უფრო მეტად ვინა სთითხნის
წარსულ ომზე მონაჭორალს,
დირიჟორის ჯოხით ვინ წვრთნის
მტაცებელთა ჯოგის ხორალს?
—„ასეთებსო,—უთქვამს თურმე,—
არ დავტოვებ მონაღორალს,
გულმოწყალედ ჩავთვლი ყველას
ბელზებელის თანმიმდევრად
და დავნიშნავ მანიფესტით
ჯოჯოხეთის ნამდვილ წევრად!"

* * *

ინსტრუქტორმა, „ბიზონიას"
როგორც იქნა მიაღწია,
და თაღლით გაიძვერების
კრება უმალ მოიწვია...
რა თქმა უნდა, პირველ სიტყვით
იქ ჩერჩილი გამოვიდა,
რადგან ობერ-გაიძვერად
ის თავის თავს მუდამ თვლიდა.
— მეო,—სთქვა მან,—ბელზებელთან
ვარ იმისი მათხოვარი,
დამიჯეროს, რომ იმისი
მუდამ ვიყავ მიმდევარი!

ჩემი ხმალი, ჩემ სინდისის
ყლორტებს მუდამ ძირში ჰკვეთდა,
და ეს მწირი ბუწუწებიც
ღორობაში გამითეთრდა!
მართალია, ზოგიერთ წლებს
უომარად მივყვებოდი,
მაგრამ თვითონ მაშინაც კი
ომისათვის ვირჯებოდი!..
სხვას რომ თავი დავანებოთ,
ორ მსოფლიო ომს ხომ მაინც
ავტორად მე მოვევლინე,
მე მიხმობენ „ომის რაინდს",
სიყალბის და ინტრიგების
ქსელი ვქსოვე, ვქსოვე, ვქსოვე,
და თუ ამით ბელზებელის
წყალობა ვერ მოვიპოვე,
გაცნობებთ, რომ ახალ ომის
სამზადისიც გავაჩაღე
და ჩავუდექ სათავეში
ამა საქმის სხვა ყაჩაღებს!
იმედი მაქვს, თუ ვიცოცხლე,
ამავე გზით ვივლი, ვიდრე
ჯოჯოხეთის ფილიალსა
მიწაზეც არ დავამკვიდრებ!
— სიტყვას ვითხოვ!—სთქვა მარშალმა,
და ახმახად აღიმართა, —
— მისტერებო, სერ უინსტონს,
ვერ გავკიცხავთ, ბრძანებს მართალს,
მაგრამ ერთი არსებითი
შენიშვნა მსურს, (რაც არ უთხრეს):
თაღლითობის ავტორობას
ეგ ტყუილად ისაკუთრებს.
გამოდის რომ მისტერ ტრუმენს,
ეგ ტალანტი თითქოს არ აქვს,
მე მორცხვი ვარ და ჩემს თავზე
არ დაგიწყებთ აქ ლაპარაკს,
მაგრამ ჩემს შეფს რაღას ერჩით,
ღვაწლი რომ არ დაუფასოთ?
ქვეყნის არევ-დარევაში
ჩამორჩება იგი სხვასო?
ვინ აკურთხა ჩემი გეგმა
„ცივ ომს" ახლა ვინ ამზადებს?
ვინ ყიდულობს დოლარებით
რეაქციის არამზადებს?
საბჭოეთზე ჭორებისთვის
ვინ იღვაწა? ვინ იზრუნა
იალტის და თეირანის
შეთანხმების დასათრგუნად?
ერთის სიტყვით,—სერ უინსტონს
ბოლო სიტყვად ამას ვკადრებ:
ის ჯეროვნად ვერ აფასებს
თაღლითების ახალ კადრებს!
— მე, მუსიო!—სთქვა დე გოლმა,—
პატიებას გევედრებით,
ჯერ გოჭი ვარ, ღორობაში
თუმცა ჯერ ვერ შეგედრებით,
მაგრამ ჩემი ხალხის ღალატს
კვლავაც ისე მოვახერხებ,
რომ თქვენს გაიძვერულ გარჯას
არაფერი შეაფერხებს...

* * *

იკამათეს, იჩერჩილეს,
იტრუმენეს, იბევინეს
და სატანის მითითებით
ბოლოს ასე დაადგინეს:
„ვინაიდან ისტორიას
აქვს თავისი ხამართალი
და ამ მზის ქვეშ გაირჩევა
კვლავ ტყუილი და მართალი,
„ბიზონიას" დაევალოს:
მზეს სინათლე აუკრძალოს,
რომ დაბნელდეს, რომ „ვერ მიხვდენ",
ვინ სტყუის და ვინ სწორია;
ერთი სიტყვით... რომ გაყალბდეს
ჭეშმარიტი ისტორია..."

* * *

მაგრამ განა მართლა ბნელა?
განა მზე შუქს არ ამზადებს,
რომ სიბნელე ნათლად უჩნდეთ
გაიძვერა არამზადებს?

ვ. სადანი

## ამინდის ბიუროში

ნახ. დონისა



— ძლივს არ მოვიდა თოვლი!

## სიხარბის შედეგი

ნახ. ა. კანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რა ამბავია, ამბაკო, ქორწილი ხომ არა გაქვს, ამდენი სურსათი ხომ გაგიფუჭდება!

— რას იზამ, ძამია, იაფი იყო და მაღაზიაში დატოვება დამენანა!

## რიგის პროფესიონალის საყვედური

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— აფსუს, რა დრო იყო, რიგში ჩადგებოდი და დილიდან საღამომდე ხალხისგან რამდენ ახალ ამბავს შეიტყობდი! ახლა ძალაუნებურად გაზეთი უნდა ეძებო!

## პირობითი გასაუბრება




— ჩემსკენ მოიწი, ჩემო ძვირფასო!

— რაღა ძვირფასი ვარ, ჩემო კარგო, მწყრის ფასი მომაკერეს!

# ერთხელ

### პიესის გადასარჩენად

ერთხელ, დრამატურგი რიჟკოვი მისი პიესის წარმოდგენის დროს შევიდა თეატრის დირექტორთან და საყვედურით მიმართა:

— რაღაც გაურკვევლად ღუღუღებენ სცენაზე თქვენი მსახიობები, მათი ლაპარაკიდან მაყურებელნი სიტყვებს ვერ არჩევენ.

— ამას პიესის გადარჩენის მიზნით შვრებიან,—მიუგო დირექტორმა, —გარკვევით რომ ილაპარაკონ, მაყურებელი გაიგებს რა მდარეა თქვენი პიესა.

### ორი მიზეზი

ერთხელ, დრამატურგ ვიქტორ კრილოვს ჰკითხეს:

— რატომ არ ესწრებით სხვა ავტორების კომედიების წარმოდგენებს?

— უბრალო მიზეზის გამო: ძალიან მეწყინება თუ რომელიმე ჩემი კოლეგის პიესა ჩაფლავდება.

— მაგრამ თუ სხვისმა პიესამ გაიმარჯვა?

— მაშინ უფრო მეტად მეწყინება.

### რა უფრო ადვილია?

ერთხელ, გამოჩენილ ინგლისელ მწერალს მილტონს ჰკითხეს:

— რატომ არის, რომ ინგლისის მეფედ დასვეს მცირეწლოვანი მემკვიდრე, რომელსაც ჭერ ცოლიც კი არ შეურთავს?

— ალბათ იმიტომ, რომ ინგლისის სახელმწიფოს მართვა უფრო ადვილია, ვიდრე ცოლის მოვლაო,—მიუგო მილტონმა·

## შედარებითი გაგება.

ნახ. გ. თომაშვილისა



— ამ მსახიობს გემოვნება სრულებით არა აქვს.
— ალბათ ფიქრობს, რომ ეს არც საჭიროა მისთვის, რადგან ესტრადაზე მუშაობს და არა გემოვნების მრეწველობის სამინისტროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარათები ნიანგს

### ძმაო ნიანგო!

გასული წლის 23 აპრილს თბილისის რკ. გზის სადგურის ბარგის შესანახ კამერას მივაბარე ნივთების ჩანთა. მეორე დღეს, ანაბრის უკან წამოღებისას აღმოჩნდა, რომ ჩანთაში აღარ იყო წამოსასხმელი („პლაშჩი“), რომელიც სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა და შეფასებული იყო 687 მან. და 50 კაპიკად. აღნიშნულის გამო მივმართე ვაგზლის უფროსის მოადგილეს სტრელჩენკოვას. მან დაწვრილებით ჩაიწერა ჩემი მისამართი და შემპირდა, რომ უახლოეს ხანში შემატყობინებდა ჩემი „პლაშჩის“ ბედს. მას შემდეგ თითქმის ათი თვე გავიდა. მე როგორც იყო, გადავიხადე „პლაშჩის“ საფასური, მაგრამ ერთი მაინტერესებს, ძმაო ნიანგო, სტრელჩენკოვა წლისთავზე თუ მაინც შემატყობინებს როგორ გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება თბილისის ვაგზალზე.

გ. ბახუტაშვილი. სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატი, უფროსი ლეიტენანტი.

### პატივცემულო ნიანგო!

რამდენიმე წლის წინათ, თბილისის რკინიგზის საინჟინერო ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარემ ინსტიტუტის თანამშრომლებში შეაგროვა ფული. ამ ფულით ადგილკომს კარტოფილი უნდა ეყიდნა და დაბალ ფასებში გაეხარებინა თანამშრომელთა ოჯახები. მაგრამ ვინაიდან ადგილკომის მუშაკებს სხვის სიხარულზე მეტად საკუთარი ოჯახის გახარება ერჩიათ, შეკრებილი თანხიდან 23.000 მანეთი აგვაფცქვნეს. მას შემდეგ წლები გავიდა. ხშირად ვაკითხავთ ადგილკომის მოღვაწეს მარგო ხოჯაევს ჩვენი ფულისათვის, მაგრამ ასეთ პასუხს ვღებულობთ:

— ახლა ხომ იაფია კარტოფილი, მე რატომ მთხოვთ?

— ფული მაინც დაგვიბრუნე!—ვეუბნებით ჩვენ.

— ის ფული, ჩემო კარგო, ახლა უკვე გაუქმებულია, ინტრიგანები ხომ არა ხართ, რომ გაუქმებულ საქმეზე დროს მაკარგვინებთ?

პატივცემულო ნიანგო, მგონი რაღაცა ეშლებათ ჩვენი ადგილკომის მუშაკებს: ჩვენი საქმე გაუქმებული კი არა, განსახილველია ავტორიტეტული ორგანოების მიერ და ამაში თქვენს დახმარებას მოველით.

დაზარალებულნი

### ამხანაგო ნიანგო!

ამ ერთი თვის წინათ სამტრესტის მაღაზიაში ვიყიდე რამდენიმე ბოთლი ყურძნის წვენი. აღნიშნული სასმელი, რასაკვირველია, ტკბილი იყო, მაგრამ საბოლოო ანგარიშში ისეთი მწარე გემო დამიტოვა, დღესაც მეწვის... ჯიბე. საქმე იმაშია, რომ მაღაზიამ თითოეული ცარიელი ბოთლის საფასურად დაიტოვა 5 მანეთი და დამპირდა, რომ ბოთლის დაბრუნებისთანავე დამიბრუნებდა მის საფასურს.

რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიაში მივიტანე ცარიელი ბოთლები, მაგრამ ასეთი პასუხი მივიღე:

— „თუ ჩვენგან იყიდით ღვინოს, არაყს, ან კონიაკს, ბოთლების ფასს გამოგიბრითო“.

სამოცი წლის კაცი ვარ, აქამდე არ ვეტანებოდი მაგარ სასმელებს და ახლა რა ვქნა, ამხ. ნიანგო, სამტრესტის, ან ბოთლის საფასურის ხათრით კონიაკარყის ხუხვა დავიწყო?

ფხიზელი

### საყვარელო ნიანგო!

ლენინის სახ. რაიონში არის ვოროშილოვის სახელობის ქუჩა. ვფიქრობ, რომ ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებას დავიწყებული აქვს ასეთი ქუჩა საერთოდ არსებობს თუ არა, რადგან სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ამ ქუჩის შეკეთება დიდის ამბით იქნა დაწყებული 1946 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვში. რასაკვირველია, რაიონის მოსახლეობა აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა ამ წამოწყებას, მაგრამ!? ვაი ამ წამოწყებას!.. ქუჩა ისე გადათხარეს, რომ აღარც ეტყობა აქ ქუჩა იყო თუ არა. ხოლო როდესაც ბუნება გაწყრება და წვიმა მოდის, მაშინ აღნიშნულ ქუჩაზე სიარული შეუძლებელია როგორც ხალხის, ისე ტრანსპორტის. ამ ქუჩის შეკეთებას დღემდე არაფერი ეშველა.

ძალიან გთხოვთ პატივცემულო ნიანგო, მობრძანდეთ, თქვენი თვალით ნახოთ აღნიშნული ქუჩა და ჩანგლით მაინც მოათრიოთ მისი შემკეთებლები.

გულშემატკივარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ღონისა

# ერთი რაიონის ისტორიიდან



1. საგზაო სექციის თავმჯდომარეს ამოტეხილ ასფალტში ფეხი ჩაუვარდა.



2. — მოხსენით მეეზოვე, გზას ყურადღებას არ აქცევს! — განაცხადა მან



3. იმავე ორმოში აღმასკომის მდივანს ჩაუვარდა ფეხი.



4. — გზას უნდა მოუარო, ბიძია, ასე მუშაობა არ შეიძლება! — უსაყვედურა საგზაო სექციის თავმჯდომარეს.



5. საგზაო სექციის თავმჯდომარე გზას ყოველდღიურად უვლიდა. მაგრამ უვლიდა არა წერაქვით და ნიჩაბით, გვერდს უვლიდა ფეხით.



6. ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდნენ მუშები და დაიწყეს გზის შეკეთება.




7. ეს კი მოხდა იმიტომ, რომ თვითონ აღმასკომის თავმჯდომარეს ჩაუვარდა... არა ფეხი, არამედ საქმიანობა და მის მაგიერ ახალი თავმჯდომარე აირჩიეს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი),
Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49
ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 16/II. ლ. ბ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის, № ქ. 28 გამოც. № 8 შეკ. № 232 ტირ. 7500 უე 01056